საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №107
2022 წლის 4 ნოემბერი

ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის №88 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 7 სექტემბრის №88 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 08/09/2022, 140130000.22.034.017274) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის 24-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. 54-ე მუხლის 29-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 30-ე პუნქტი:

„30. მძღოლობის კანდიდატს, რომელიც „C“, „D“ კატეგორიების/„C1“, „D1“ ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ პრაქტიკულ გამოცდაზე დაშვებულ იქნა 2023 წლის 1 სექტემბრამდე და რომელიც, ამ წესის 24^2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში წარმატებით ჩააბარებს გამოცდას, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება მიენიჭება 2023 წლის 1 სექტემბრამდე არსებული წესით.“.

2. მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, მე-6 პუნქტი, მე-9 პუნქტი, მე-10 პუნქტის „ა“ და „ბ.ა“ ქვეპუნქტები, მე-11 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-13 პუნქტი, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-17 პუნქტი, მე-18 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტები და 24-ე პუნქტი ამოქმედდეს 2023 წლის 1 სექტემბრიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**